

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №576

2014 წლის 29 სექტემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1

დამტკიცდეს, რანგების მიხედვით, საჯარო სამსახურის თანამდებობათა თანდართული რეესტრი (დანართი №1).

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებიდან, მაგრამ არა უგვიანეს 2014 წლის 31 ოქტომბრისა, მუნიციპალიტეტების შესაბამისმა ორგანოებმა უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების თანამდებობათა დასახელებების ამ დადგენილებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრთან შესაბამისობა.

მუხლი 3

სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უზრუნველყონ საჯარო სამსახურის თანამდებობათა დასახელებების ამ დადგენილებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრთან შესაბამისობა, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების შესაბამისმა ორგანოებმა - დადგენილი წესით, მოხელეებისათვის საკლასო ჩინების მინიჭება.

მუხლი 4

დამტკიცდეს მოხელეების საკლასო ჩინისათვის ხელფასის თანდართული დანამატები (დანართი №2).

მუხლი 5

მოხელეების საკლასო ჩინისათვის ხელფასის დანამატების გაცემა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახურის კოდექსის ამოქმედებისთანავე.

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი №1

საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრი

თავი I

საქართველოს პარლამენტის საჯარო თანამდებობები

მუხლი 1

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) აპარატის უფროსი;

ბ) აპარატის უფროსის მოადგილე;

გ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი;

დ) დეპარტამენტის უფროსი;

ე) საბიუჯეტო ოფისის უფროსი.



2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის მოადგილე;
- ბ) კომიტეტის აპარატის უფროსი;
- გ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი;
- დ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე;
- ე) მთავარი ბუღალტერი;
- ვ) მანდატურთუხუცესი;
- ზ) სამდივნოს უფროსი;
- თ) განყოფილების უფროსი;
- ი) სასწავლო ცენტრის უფროსი;
- კ) პრესცენტრის უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მთავარი სპეციალისტი;
- ბ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე;
- გ) კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე;
- დ) აპარატის უფროსის მოადგილის თანაშემწე;
- ე) წამყვანი სპეციალისტი;
- ვ) მანდატური;
- ზ) უფროსი სპეციალისტი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მდივან-სპეციალისტი;
- ბ) სპეციალისტი.

თავი II

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო თანამდებობები

მუხლი 2

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

- ა) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი;
- ბ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე;
- გ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;
- დ) საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი;



- ე) საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერი;
- ვ) საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი;
- ზ) საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი - საგარეო ურთიერთობათა მდივანი;
- თ) საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) საქართველოს პრეზიდენტის სამდივნოს უფროსი;
- ბ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის სამდივნოს უფროსი;
- გ) საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე;
- დ) დეპარტამენტის უფროსი;
- ე) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ვ) განყოფილების უფროსი;
- ზ) მთავარი მრჩეველი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მთავარი ბუღალტერი;
- ბ) მრჩეველი;
- გ) მთავარი სპეციალისტი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) უფროსი სპეციალისტი;
- ბ) თანაშემწე;
- გ) სპეციალისტი.

საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები

თავი III

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო თანამდებობები

მუხლი 3

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

- ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი;
- ბ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;
- გ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსი;
- დ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი;



- ე) საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე;
- ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი;
- ზ) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;
- თ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ი) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის/ადმინისტრაციის დეპარტამენტის სამსახურის უფროსი;
- კ) პრესსპიკერი;
- ლ) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის/ადმინისტრაციის დეპარტამენტის/ადმინისტრაციის დეპარტამენტის სამსახურის სამმართველოს უფროსი;
- ბ) მრჩეველი (I კატეგორია);
- გ) მრჩეველი (II კატეგორია).

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მრჩეველი (III კატეგორია);
- ბ) მთავარი სპეციალისტი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) წამყვანი სპეციალისტი;
- ბ) უფროსი სპეციალისტი;
- გ) სპეციალისტი;
- დ) დამხმარე მოსამსახურე.

თავი IV

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო თანამდებობები

მუხლი 4

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

- ა) მინისტრის პირველი მოადგილე;
- ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) დეპარტამენტის უფროსი;



ბ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

გ) ტერიტორიული ორგანოს უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის თანაშემწე;

ბ) მინისტრის მრჩეველი;

გ) მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;

დ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე;

ე) სამმართველოს უფროსი;

ვ) ტერიტორიული ორგანოს უფროსის მოადგილე.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მთავარი სპეციალისტი;

ბ) უფროსი სპეციალისტი;

გ) სპეციალისტი;

დ) ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტი;

ე) ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი.

თავი V

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

საჯარო თანამდებობები

მუხლი 5

1. მთავარი საჯარო თანამდებობა

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტის უფროსი;

ბ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

გ) აპარატის უფროსი;

დ) სამსახურის უფროსი;

ე) სამსახურის უფროსის მოადგილე;

ვ) მინისტრის მთავარი მრჩეველი.



3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მინისტრის თანაშემწე;
- ბ) მინისტრის მრჩეველი;
- გ) მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;
- დ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე;
- ე) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მთავარი სპეციალისტი;
- ბ) უფროსი სპეციალისტი;
- გ) დამხმარე მოსამსახურე (მინისტრის მძღოლი);
- დ) დამხმარე მოსამსახურე (მინისტრის პირველი მოადგილის მძღოლი);
- ე) დამხმარე მოსამსახურე (მინისტრის მოადგილის მძღოლი).

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საჯარო თანამდებობები

მუხლი 6

1. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) დეპარტამენტის უფროსი;
- ბ) დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე;
- გ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- დ) მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი;
- ე) სამსახურის უფროსი;
- ვ) სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ზ) მთავარი ბუღალტერი;
- თ) განყოფილების უფროსი.

2. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მთავარი სპეციალისტი;
- ბ) მთავარი სპეციალისტი - იურისტი;
- გ) უფროსი სპეციალისტი;
- დ) უფროსი სპეციალისტი - ანალიტიკოსი;
- ე) უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი, საქმისმწარმოებელი);



- ვ) სპეციალისტი;
- ზ) სპეციალისტი - საქმისმწარმოებელი;
- თ) სპეციალისტი გემთწამყვანი;
- ი) სპეციალისტი მექანიკოსი;
- კ) მთავარი ინსპექტორი;
- ლ) მთავარი ინსპექტორი - ლაბორანტი;
- მ) უფროსი ინსპექტორი;
- ნ) უფროსი ინსპექტორი - ლაბორანტი;
- ო) ინსპექტორი.

თავი VI

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

საჯარო თანამდებობები

მუხლი 7

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:
 - ა) მინისტრის პირველი მოადგილე;
 - ბ) მინისტრის მოადგილე.
2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:
 - ა) დეპარტამენტის უფროსი;
 - ბ) სამსახურის უფროსი;
 - გ) ბიუროს უფროსი;
 - დ) სამსახურის უფროსის მოადგილე;
 - ე) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
 - ვ) სამმართველოს უფროსი;
 - ზ) მინისტრის მრჩეველი;
 - თ) მთავარი ბუღალტერი;
 - ი) სამდივნოს უფროსი;
 - კ) კონსულტანტი.
3. უფროსი საჯარო თანამდებობა:
 - ა) მინისტრის უფროსი თანაშემწე;
 - ბ) მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;



გ) მთავარი სპეციალისტი;

დ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) უფროსი სპეციალისტი;

ბ) სპეციალისტი;

გ) დამხმარე მოსამსახურე.

თავი VII

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

საჯარო თანამდებობები

მუხლი 8

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის აპარატის უფროსი;

ბ) დეპარტამენტის უფროსი;

გ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

დ) მთავარი მრჩეველი;

ე) მინისტრის მრჩეველი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) სამმართველოს უფროსი;

ბ) სამმართველოს უფროსი (მთავარი ბუღალტერი);

გ) უფროსი მრჩეველი;

დ) მრჩეველი;

ე) მინისტრის თანაშემწე.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მთავარი სპეციალისტი;

ბ) უფროსი სპეციალისტი;

გ) მინისტრის თანაშემწე (მდივანი);

დ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე;



ე) სპეციალისტი;

ვ) დამხმარე მოსამსახურე.

თავი VIII

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

საჯარო თანამდებობები

მუხლი 9

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრის მოადგილე;

გ) სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი;

დ) სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;

ე) დეპარტამენტის უფროსი;

ვ) გენერალური ინსპექციის უფროსი.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ბ) სამმართველოს უფროსი;

გ) მინისტრის მრჩეველი;

დ) მთავარი ბუღალტერი;

ე) გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ბ) ცენტრის უფროსი;

გ) ცენტრის უფროსის მოადგილე;

დ) განყოფილების უფროსი;

ე) მინისტრის თანაშემწე;

ვ) განყოფილების უფროსის მოადგილე;

ზ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო წარმომადგენელი -

აპარატის უფროსი;

თ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო წარმომადგენელი -

აპარატის უფროსის მოადგილე;



- ი) მინისტრის პირველი მოადგილის მრჩეველი;
- კ) მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;
- ლ) მინისტრის მოადგილის მრჩეველი;
- მ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო წარმომადგენლის მრჩეველი;
- ნ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე;
- ო) თავდაცვის ატაშეს თანაშემწე;
- პ) მთავარი ბუღალტრის მოადგილე;
- ჟ) მთავარი ინსპექტორი;
- რ) უფროსი ინსპექტორი;
- ს) მთავარი სპეციალისტი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) ინსპექტორი;
- ბ) უფროსი სპეციალისტი;
- გ) სპეციალისტი.

შენიშვნა:

ეს თავი არ ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე სამხედრო მოსამსახურეებზე, აგრეთვე, გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელებზე/მოსამსახურეებზე (სამოქალაქო პირებზე).

თავი IX

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

საჯარო თანამდებობები

მუხლი 10

1. მთავარი საჯარო თანამდებობა

- ა) მინისტრის პირველი მოადგილე;
- ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) დეპარტამენტის უფროსი;



- ბ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- გ) გენერალური ინსპექციის უფროსი;
- დ) გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მინისტრის თანაშემწე;
- ბ) მინისტრის მრჩეველი;
- გ) მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;
- დ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე;
- ე) სამმართველოს უფროსი;
- ვ) აუდიტორი;
- ზ) გამომძიებელი;
- თ) მრჩეველი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) სპეციალისტი;
- ბ) მძღოლი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს საჯარო თანამდებობები

მუხლი 11

1. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსი;
- ბ) აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

2. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) აღსრულების პოლიციის სამმართველოს განყოფილების უფროსი;
- ბ) აღსრულების პოლიციის სამმართველოს განყოფილების ჯგუფის უფროსი;
- გ) აღსრულების პოლიციელი.

საქართველოს პროკურატურის საჯარო თანამდებობები

მუხლი 12

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:



ა) საქართველოს მთავარი პროკურორი;

ბ) საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე;

გ) საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი;

გ) ქ. თბილისის პროკურორი;

დ) საოლქო პროკურორი;

ე) საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ვ) საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - სამმართველოს უფროსი;

ზ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე;

თ) ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე;

ი) ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე - საგამომიებო ნაწილის უფროსი;

კ) საოლქო პროკურორის მოადგილე;

ლ) საოლქო პროკურორის მოადგილე - საგამომიებო ნაწილის უფროსი;

მ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსი;

ნ) ქალაქ თბილისის პროკურატურის განყოფილების უფროსი;

ო) საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) საქართველოს მთავარი პროკურატურის სამმართველოს უფროსი;

ბ) საქართველოს მთავარი პროკურატურის სამმართველოს უფროსის მოადგილე - მთავარი ბუღალტერი;

გ) საქართველოს მთავარი პროკურატურის უფროსი პროკურორი;

დ) საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორი;

ე) საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტი;

ვ) საქართველოს მთავარი პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი;

ზ) საქართველოს მთავარი პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;

თ) საქართველოს მთავარი პროკურატურის განყოფილების უფროსი;

ი) საქართველოს მთავარი პროკურატურის მრჩეველი;

კ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი პროკურორი;

ლ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორი;



მ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი;

ნ) ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე;

ო) ქ. თბილისის პროკურატურის პროკურორი;

პ) ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი;

ჟ) საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორი;

რ) საოლქო პროკურატურის პროკურორი;

ს) საოლქო პროკურატურის უფროსი გამომძიებელი;

ტ) რაიონული პროკურორი;

უ) რაიონული პროკურორის მოადგილე;

ფ) რაიონული პროკურატურის პროკურორი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) საქართველოს პროკურატურის სტაჟიორი;

ბ) საქართველოს მთავარი პროკურატურის მრჩეველი - მოწმისა და დაზარალებულის უფროსი კოორდინატორი;

გ) საქართველოს მთავარი პროკურატურის მრჩეველი - მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი;

დ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მრჩეველი;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მრჩეველი - მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი;

ვ) ქ. თბილისის პროკურორის მრჩეველი;

ზ) ქ. თბილისის პროკურატურის მრჩეველი;

თ) ქ. თბილისის პროკურატურის მრჩეველი - მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი;

ი) საოლქო პროკურატურის მრჩეველი - მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი;

კ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის კანცელარიის უფროსი;

ლ) ქ. თბილისის პროკურატურის კანცელარიის უფროსი;

მ) საოლქო პროკურატურის კანცელარიის უფროსი;

ნ) რაიონული პროკურატურის კანცელარიის უფროსი;

ო) საქართველოს მთავარი პროკურატურის სპეციალისტი;

პ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის სპეციალისტი;

ჟ) ქ. თბილისის პროკურატურის სპეციალისტი;

რ) საოლქო პროკურატურის სპეციალისტი;

ს) რაიონული პროკურატურის სპეციალისტი;

ტ) საქართველოს მთავარი პროკურატურის მძღოლი;



- უ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მძღოლი;
- ფ) ქ. თბილისის პროკურატურის მძღოლი;
- ქ) საოლქო პროკურატურის მძღოლი;
- ღ) რაიონული პროკურატურის მძღოლი;
- ყ) ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის დამლაგებელი;
- შ) ქ. თბილისის პროკურატურის დამლაგებელი;
- ჩ) საოლქო პროკურატურის დამლაგებელი;
- ც) რაიონული პროკურატურის დამლაგებელი;
- ძ) საოლქო პროკურატურის დარაჯი;
- წ) რაიონული პროკურატურის დარაჯი.

თავი X

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საჯარო თანამდებობები

მუხლი 13

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

- ა) მინისტრის პირველი მოადგილე;
- ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) დეპარტამენტის დირექტორი;
- ბ) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
- გ) მინისტრის აპარატის უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მინისტრის მრჩეველი;
- ბ) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;
- გ) აპარატის სამმართველოს უფროსი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მთავარი სპეციალისტი;
- ბ) სპეციალისტი;
- გ) თანაშემწე.



თავი XI

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საჯარო თანამდებობები

მუხლი 14

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

- ა) მინისტრის პირველი მოადგილე;
- ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) აპარატის უფროსი;
- ბ) აპარატის უფროსის მოადგილე;
- გ) დეპარტამენტის უფროსი;
- დ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ე) სამმართველოს უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მინისტრის თანაშემწე;
- ბ) მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;
- გ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მთავარი სპეციალისტი;
- ბ) უფროსი სპეციალისტი.

თავი XII

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საჯარო თანამდებობები

მუხლი 15

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

- ა) მინისტრის პირველი მოადგილე;
- ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) დეპარტამენტის უფროსი;
- ბ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;



გ) სამინისტროს სამმართველოს უფროსი;

დ) სამინისტროს განყოფილების უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) ტერიტორიული ორგანოს უფროსი;

ბ) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;

გ) მთავარი ბუღალტერი;

დ) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ე) სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ვ) ტერიტორიული ორგანოს უფროსის მოადგილე;

ზ) მინისტრის მრჩეველი;

თ) მინისტრის თანაშემწე;

ი) განყოფილების უფროსის მოადგილე.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მთავარი სპეციალისტი;

ბ) მთავარი სპეციალისტი (ბუღალტერი);

გ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე;

დ) უფროსი სპეციალისტი;

ე) სპეციალისტი;

ვ) დამხმარე მოსამსახურე.

თავი XIII

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო თანამდებობები

მუხლი 16

1. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი;

ბ) შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე;

გ) სამინისტროს საიდუმლო საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი;

დ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;

ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილე.

2. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტში შემავალი სამსახურის უფროსი;



- ბ) დეპარტამენტში შემავალი სამსახურის უფროსის მოადგილე;
- გ) დეპარტამენტში შემავალი სამსახურის განყოფილების უფროსი;
- დ) დამოუკიდებელ სამსახურში შემავალი განყოფილების უფროსი;
- ე) პროგრამისტი;
- ვ) მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი;
- ზ) სისტემური ადმინისტრატორი;
- თ) ქსელის ადმინისტრატორი;
- ი) ტელეკომუნიკაციების ინჟინერი.

3. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მთავარი კონსულტანტი;
- ბ) კონსულტანტი;
- გ) იურისტკონსულტი;
- დ) მთავარი ეკონომისტი;
- ე) ბუღალტერი;
- ვ) მთავარი სპეციალისტი;
- ზ) ფინანსური მენეჯერი;
- თ) შესყიდვების მენეჯერი;
- ი) ტრანსპორტის მენეჯერი;
- კ) ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი;
- ლ) არქივარიუსი;
- მ) რეფერენტი;
- ნ) მძღოლი.

თავი XIV

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო თანამდებობები

მუხლი 17

- 1. მთავარი საჯარო თანამდებობა:
 - ა) მინისტრის პირველი მოადგილე;
 - ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:



ა) დეპარტამენტის უფროსი;

ბ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

გ) ტერიტორიული ორგანოს უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;

ბ) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

გ) მინისტრის თანაშემწე;

დ) მინისტრის მრჩეველი;

ე) მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;

ვ) მინისტრის პირველი მოადგილის მრჩეველი;

ზ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე;

თ) ტერიტორიული ორგანოს უფროსის მოადგილე.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის მდივან-სპეციალისტი (ასისტენტი);

ბ) მინისტრის მოადგილის მდივან სპეციალისტი;

გ) მთავარი სპეციალისტი;

დ) უფროსი სპეციალისტი;

ე) სპეციალისტი.

თავი XV

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო თანამდებობები

მუხლი 18

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტის უფროსი;

ბ) სამსახურის უფროსი;

გ) მინისტრის აპარატის უფროსი;

დ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;



ე) სამსახურის უფროსის მოადგილე;

ვ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - სამმართველოს უფროსი;

ზ) მინისტრის აპარატის უფროსის მოადგილე - სამმართველოს უფროსი;

თ) მთავარი მრჩეველი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) სამმართველოს უფროსი;

ბ) დეპარტამენტის მრჩეველი;

გ) სამსახურის მრჩეველი;

დ) კონსულტანტი;

ე) მთავარი ბუღალტერი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მთავარი სპეციალისტი;

ბ) უფროსი სპეციალისტი;

გ) სპეციალისტი;

დ) თანაშემწე;

ე) დამხმარე მოსამსახურე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სახაზინო სამსახურის
საჯარო თანამდებობები

მუხლი 19

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

სახაზინო სამსახურის უფროსი.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) სახაზინო სამსახურის უფროსის მოადგილე;

ბ) დეპარტამენტის უფროსი;

გ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) სამმართველოს უფროსი;

ბ) მთავარი ბუღალტერი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მთავარი სპეციალისტი;



ბ) უფროსი სპეციალისტი;

გ) სპეციალისტი;

დ) თანაშემწე;

ე) დამხმარე მოსამსახურე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობები

მუხლი 20

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

საგამოძიებო სამსახურის უფროსი.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე;

ბ) დეპარტამენტის/სამმართველოს/სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი;

გ) დეპარტამენტის/სამმართველოს უფროსის მოადგილე;

დ) დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსი;

ე) დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე/სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ვ) ტერიტორიული ორგანოს უფროსი;

ზ) ტერიტორიული ორგანოს უფროსის მოადგილე;

თ) სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსი;

ი) სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსის მოადგილე;

კ) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;

ლ) ადმინისტრაციის სამმართველოს უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ბ) დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს სამმართველო/სპეციალური დანიშნულების რაზმის სამმართველოს უფროსი;

გ) მთავარი სამმართველოს სამმართველოს უფროსის მოადგილე/სპეციალური დანიშნულების რაზმის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

დ) კანცელარიის უფროსი;

ე) ტერიტორიული ორგანოს სამმართველოს უფროსი;

ვ) ტერიტორიული ორგანოს სამმართველოს უფროსის მოადგილე;



ზ) უფროსი გამომძიებელი;

თ) გამომძიებელი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მთავარი სპეციალისტი;

ბ) უფროსი სპეციალისტი;

გ) სპეციალისტი;

დ) მთავარი ინსპექტორი;

ე) უფროსი ინსპექტორი;

ვ) ინსპექტორი;

ზ) უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი;

თ) ინსპექტორ-გამომძიებელი;

ი) უფროსი მზვერავი;

კ) მზვერავი;

ლ) დამხმარე მოსამსახურე;

მ) სტაჟიორი.

თავი XVI

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო თანამდებობები

მუხლი 21

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) ცენტრის უფროსი;

ბ) დეპარტამენტის დირექტორი;

გ) დეპარტამენტის უფროსი;

დ) ადმინისტრაციის უფროსი;

ე) დეპარტამენტის დირექტორის პირველი მოადგილე;

ვ) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

ზ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;



თ) ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;

ი) მთავარი სამმართველოს უფროსი;

კ) მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ლ) სამმართველოს უფროსი;

მ) სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ნ) სამსახურის უფროსი;

ო) სამსახურის უფროსის მოადგილე;

პ) განყოფილების უფროსი;

ჟ) განყოფილების უფროსი (დეტექტივი-გამომძიებელი);

რ) განყოფილების უფროსი – გამომძიებელი;

ს) განყოფილების უფროსის მოადგილე;

ტ) განყოფილების უფროსის მოადგილე (დეტექტივი-გამომძიებელი);

უ) განყოფილების უფროსის მოადგილე – გამომძიებელი;

ფ) ასეულის მეთაური;

ქ) ასეულის მეთაურის მოადგილე.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) ქვეგანყოფილების უფროსი;

ბ) ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე;

გ) ოცეულის მეთაური;

დ) ოცეულის მეთაურის მოადგილე;

ე) ცვლის უფროსი;

ვ) ათეულის მეთაური;

ზ) განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;

თ) განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი;

ი) განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი-გამომძიებელი;

კ) მინისტრის მრჩეველი;

ლ) მრჩეველი;

მ) დეპარტამენტის დირექტორის თამაშემწე;

ნ) უფროსი გამომძიებელი;

ო) გამომძიებელი;



პ) დეტექტივი-გამომძიებელი;

ჟ) დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი;

რ) უზნის უფროსი ინსპექტორი-გამომძიებელი;

ს) უზნის ინსპექტორი-გამომძიებელი;

ტ) უფროსი ოპერატიული თანამშრომელი;

უ) ოპერატიული თანამშრომელი;

ფ) უფროსი ინსპექტორი;

ქ) უფროსი ინსპექტორი-გამომძიებელი;

ღ) მთავარი სპეციალისტი;

ყ) მთავარი ექსპერტი;

შ) უფროსი ექსპერტი;

ჩ) ექსპერტი;

ც) იურისტი;

ძ) უფროსი ოფიცერი;

წ) ოფიცერი;

ჭ) უფროსი მოიერიშე;

ხ) მოიერიშე;

ჯ) უფროსი მებრძოლი;

ჰ) გამნადმველი;

ჰ¹) პატრულ-ინსპექტორი;

ჰ²) პატრულ-ინსპექტორი (მესაზღვრე-კონტროლიორი);

ჰ³) პატრულ-ინსპექტორი (მესაზღვრე-ოპერატორი);

ჰ⁴) უფროსი ინსპექტორი;

ჰ⁵) ინსპექტორი;

ჰ⁶) უფროსი ინსტრუქტორი;

ჰ⁷) ინსტრუქტორი;

ჰ⁸) პასუხისმგებელი მორიგე;

ჰ⁹) უფროსი ინჟინერი;

ჰ¹⁰) ინჟინერი;



3¹¹) კომენდანტი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) ათეულის მეთაურის მოადგილე;
- ბ) ასეულის სერჟანტი;
- გ) მებრძოლი;
- დ) უზნის უმცროსი ინსპექტორი;
- ე) უმცროსი ინსპექტორი;
- ვ) სპეციალისტი;
- ზ) სერჟანტი;
- თ) სპეც. დანიშნულების რადისტა;
- ი) ოპერატიული მძღოლი;
- კ) დაცვის თანამშრომელი;
- ლ) მზარეული;
- მ) დამხმარე მოსამსახურე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საჯარო თანამდებობები

მუხლი 22

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

- ა) სასაზღვრო პოლიციის უფროსი;
- ბ) სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე;
- გ) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) მთავარი სამმართველოს უფროსი;
- ბ) მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- გ) სამმართველოს უფროსი;
- დ) სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- ე) სამსახურის უფროსი;
- ვ) სამსახურის უფროსი-გამომძიებელი;
- ზ) ცენტრის უფროსი;
- თ) ხომალდის მეთაური;



ი) ესკადრილის მეთაური.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) სამსახურის უფროსის მოადგილე;

ბ) სამსახურის უფროსის მოადგილე-გამომძიებელი;

გ) ესკადრილის მეთაურის მოადგილე;

დ) ხომალდის მეთაურის თანაშემწე;

ე) განყოფილების უფროსი;

ვ) განყოფილების უფროსი-გამომძიებელი;

ზ) განყოფილების უფროსის მოადგილე;

თ) ქვეგანყოფილების უფროსი;

ი) სექტორის უფროსი;

კ) სექტორის უფროსის მოადგილე;

ლ) ოცეულის მეთაური;

მ) ოცეულის მეთაურის მოადგილე;

ნ) სადგურის უფროსი;

ო) სადგურის უფროსის მოადგილე;

პ) კატარღის მეთაური;

ჟ) კატარღის მეთაურის თანაშემწე;

რ) გმს ინსპექტორი;

ს) გმს გამომძიებელი;

ტ) უფროსი ინსპექტორი;

უ) უფროსი გამომძიებელი;

ფ) გამომძიებელი;

ქ) უფროსი ოფიცერი;

ღ) ოფიცერი;

ყ) მთავარი სპეციალისტი;

შ) ინსპექტორი;

ჩ) წამყვანი სპეციალისტი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) უმცროსი ინსპექტორი;



ბ) სპეციალისტი;

გ) დამხმარე მოსამსახურე.

თავი XVII

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო თანამდებობები

მუხლი 23

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტის უფროსი;

ბ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

გ) მინისტრის მთავარი მრჩეველი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;

ბ) მინისტრის თანაშემწე;

გ) მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;

დ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მთავარი სპეციალისტი;

ბ) უფროსი სპეციალისტი;

გ) სპეციალისტი;

დ) დამხმარე მოსამსახურე;

ე) დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი).

თავი XVIII

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო თანამდებობები

მუხლი 24

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრის მოადგილე;



2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) დეპარტამენტის უფროსი;
- ბ) მინისტრის აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი;
- გ) მინისტრის მრჩეველი;
- დ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ე) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მრჩეველი;
- ბ) მინისტრის თანაშემწე;
- გ) დეპარტამენტის სამმართველოს მთავარი ბუღალტერი;
- დ) დეპარტამენტის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- ე) დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
- ბ) დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი;
- გ) დეპარტამენტის სამმართველოს სპეციალისტი;
- დ) დეპარტამენტის სპეციალისტი;
- ე) დეპარტამენტის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (დამხმარე სპეციალისტი);
- ვ) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი (დამხმარე სპეციალისტი);
- ზ) დეპარტამენტის სამმართველოს სპეციალისტი (დამხმარე სპეციალისტი);
- თ) თანაშემწე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჯარო თანამდებობები

მუხლი 25

1. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

- ა) დეპარტამენტის თავმჯდომარე;
- ბ) დეპარტამენტის თავჯდომარის პირველი მოადგილე;
- გ) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
- დ) სამმართველოს უფროსი;



- ე) სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- ვ) მთავარი ბუღალტერი;
- ზ) დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩეველი;
- თ) ტერიტორიული ორგანოს დირექციის დირექტორი;
- ი) ტერიტორიული ორგანოს დირექციის დირექტორის მოადგილე.

2. უფროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მთავარი ბუღალტრის მოადგილე;
- ბ) სამმართველოს განყოფილების უფროსი.

3. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

- ა) მთავარი სპეციალისტი;
- ბ) უფროსი სპეციალისტი;
- გ) რეფერენტი;
- დ) სპეციალისტი.

თავი XIX

